ევროკავშირი
საქართველოსთვის

wecf
Georgia

მუნიციპალური გენდერული პოლიტიკის განხორციელების რეკომენდაციები კახეთში, გურიასა და რაჭაში

*დოკუმენტი შექმნილია პროექტის „ქალთა ძალა ინკლუზიისთვის“ ფარგლებში, რომელიც განხორციელდა, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ქალები საერთო მომავლისათვის (WECF) საქართველოს ოფისისა და პარტნიორი ორგანიზაციების - რაჭის სათემო ორგანიზაცია, პედაგოგთა კავშირი, უხუცეს ქალთა საბჭო - მიერ. შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია **WECF-ის საქართველოს ოფისი** და შესაძლოა, არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.*

ორგანიზაციამ „**ქალები საერთო მომავლისთვის (WECF) - საქართველო**“, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით - ქალი და რეალობა, უხუცეს ქალთა საბჭო, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი **და** რაჭის სათემო ორგანიზაცია - დაასრულა მუშაობა პროექტზე „ქალების ძალა – ეკონომიკური და პოლიტიკური მონაწილეობა ინკლუზიური საზოგადოებისთვის საქართველოში“ (შემოკლებული ვერსიით „ქალების ძალა ინკლუზიისთვის“). აღნიშნული პროექტი, რომელიც 2020 წელს დაიწყო და 3 წელი გაგრძელდა, მიზნად ისახავდა ინკლუზიური და გენდერულად თანასწორი საზოგადოების შენებას, რაც ითვალისწინებდა ქალებისა და გოგოების მხარდაჭერასა და გაძლიერებას, ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანაბრად მონაწილეობისა და პატრიარქალური კულტურული ნორმების შეცვლის გზით.

პროექტი განხორციელდა **კახეთის, გურიის, რაჭისა და იმერეთის მუნიციპალიტეტებში**. პროექტით გათვალისწინებული აქტივობის ფარგლებში, ადგილობრივმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში, თემის საჭიროებების უკეთ გამოსავლენად, ჩაატარეს 30 ქსელური შეხვედრა პროექტის სამიზნე ჯგუფებთან. პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტებში ჩატარებულ ქსელურ შეხვედრებს დაესწრო 600-მდე ადამიანი. ცალკეულ ჯგუფებთან ჩატარებული მოკვლევების საფუძველზე, ორგანიზაციებმა შეიმუშავეს შესაბამისი რეკომენდაციები. რეკომენდაციები მოიცავს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც პროექტის სამიზნე რეგიონებში მცხოვრები ადამიანები დგანან და შემხვედრ ნაბიჯებს, რომლებიც მუნიციპალიტეტებმა თანასწორობასა და ინკლუზიაზე ორიენტირებული პოლიტიკის დასანერგად უნდა გადადგან.

წინამდებარე პოლიტიკის კონსოლიდირებულ დოკუმენტში ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციების - **რაჭის სათემო ორგანიზაცია (რაჭა), ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი (გურია) და უხუცეს ქალთა საბჭო (კახეთი)** - მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გაერთიანდა, რაც ადგილობრივ ხელისუფლებებთან უკვე გაზიარებულია. დოკუმენტზე

მუშაობა და მუნიციპალიტეტებისთვის რეკომენდაციების შემუშავება, მიზნად ისახავს რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის ხელშეწყობას, ინკლუზიური და სამართლიანი მომავლისთვის. პროექტის განხორციელების დროს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებთან წარმოქმნილი გართულებული თანამშრომლობის მიუხედავად, რაც მმართველი პარტიის მიერ ე.წ. ‘რუსული კანონის’ ინიცირებამ გამოიწვია, WECF-ის საქართველოს ოფისი და ადგილობრივი პარტნიორები გააგრძელებენ ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან პროექტის ფარგლებში დაწყებული საკითხების ადვოკატირებასა და ამ დოკუმენტში ასახული რეკომენდაციების შესრულებაზე მუშაობას.

უხუცეს ქალთა საბჭო, კახეთი

აღსანიშნავია, რომ პროექტის 'ქალების ძალა ინკლუზიისთვის’ ფარგლებში, კახეთის რეგიონში (ახმეტა, ლაგოდეხი, თელავი) შექმნილ ქალთა სამიზნე ჯგუფებსა და ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის, წარმატებული თანამშრომლობა შედგა. კერძოდ, ქალთა ჯგუფებმა მერიის **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა** და **კულტურის, განათლების, სპორტისა** და **ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურების** წარმომადგენლების მხრიდან მიიღეს ინფორმაცია ამ

სამსახურების მუშაობის შესახებ, გაეცნენ პროგრამებს, მათი შექმნისა და შემუშავების მექანიზმებს. ასევე, გამოკვეთეს პროგრამების შემუშავების პროცესში საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ჩართულობის აუცილებლობა, ერთობლივად შესასწავლი საკითხები და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის ფორმები.

ახმეტა, ლაგოდეხსა და თელავში შექმნილი თემის წარმომადგენელ ქალთა ჯგუფებმა, მუნიციპალიტეტებს გაუზიარეს კონკრეტული რეკომენდაციები **2023 წლის ბიუჯეტისა და 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტთან დაკავშირებით.**

რეკომენდაციები ტექნიკურ საკითხებზე:

იმისთვის, რომ ხელი შეეწყოს მუნიციპალიტეტის მუშაობის გამჭვირვალობას და მოქალაქეთა ინფორმირებას მუნიციპალიტეტის საქმიანობის შესახებ, სასურველია, ახმეტის საკრებულოს რეგლამენტის 135-ე მუხლის, მერიის დებულების 32-ე მუხლისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის შესახებ დებულების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდეს შემდეგი:

- ინფორმაცია მერიის სამსახურების მიმდინარე წლის პროგრამების შესახებ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის პროგრამების მსგავსად;

- ინფორმაცია მუნიციპალური სერვისების (მუნიციპალური ააიპ-ების) შესახებ;
- მონაწილეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა, ონლაინ საჯარო შეხვედრების ჩატარების გზით, სადაც მოქალაქეებს ექნებათ ჩართვის შესაძლებლობა;
- ინფორმაცია მუნიციპალური სერვისების შესახებ (ასევე, თემსა და სოფლებში მერის/საკრებულოს წარმომადგენლის ოფისებში ინფორმაციის განთავსება და ინფორმაციის გავრცელების დამატებითი მექანიზმის შემუშავება);

რეკომენდაციები პროცედურულ საკითხებზე:

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებს წარმოადგენს: დასახლების საერთო კრება, პეტიცია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა, მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა და საბიუჯეტო პროცესებში მონაწილეობა.

იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტებში მონაწილეობის აღნიშნული მექანიზმის პრაქტიკულად განხორციელების კარგი მაგალითები მივიღოთ, და, ამასთან ერთად, დაინერგოს ბიუჯეტირების პროცესში გენდერული ასპექტების გათვალისწინება, მნიშვნელოვანია შემდგომი პროცედურული საკითხების მიღება:

- მოქალქეების, მუნიციპალური სამსახურების და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით ყოველწლიური მუნიციპალური გეგმის შემუშავება;
- სამსახურების მიერ ანგარიშებისა და ინიციატივების საჯარო განხილვის პრაქტიკის დანერგვა;
- სერვისების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა (ინდიკატორების გადახედვა, ახალი ინდიკატორების დანერგვა. მაგ: დასახლების % სადაც ფუნქციონირებს ახალგაზრდული სივრცეები და სხვა)
- სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან სერვისების მიწოდების პროცესში თანადაფინანსების პროგრამების გაფართოება.

რეკომენდაციები ბიუჯეტზე:

იმისათვის, რომ მუნიციპალურ დონეზე ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას გენდერული საჭიროებები, ახმეტის, ლაგოდეხისა და თელავის მუნიციპალიტეტებში ქალებმა

თემში არსებული საჭიროებები მოიკვლიეს და წარადგინეს საბიუჯეტო ინიციატივები, რაც, ასევე, ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდა მოქალაქეებისა და ხელისუფლებას შორის ნდობის განმტკიცების, ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერებისა და გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების პრაქტიკის დანერგვისთვის.

ახმეტის მუნიციპალიტეტი

- ახალგაზრდული სტრატეგიის მე-3 მიზნის (ახალგაზრდებს აქვთ დასაქმების მეტი შესაძლებლობა) ფარგლებში დასაქმების ხელშეწყობის პროგრამის შემუშავება;
- ამავე მიზნის ქვეშ, ახალგაზრდებისთვის სტაჟირების პროგრამის ამოქმედება, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 მაისის №27 დადგენილებით განსაზღვრული სტაჟირების პროგრამის შესაბამისად;
- მოქალაქეთა (მათ შორის, ქალების და ახალგაზრდების) მონაწილეობის მხარდამჭერი საბიუჯეტო პროგრამის შემუშავება;
- ალაზნის მიმდებარე ტერიტორიებიდან ნარჩენების გატანა, გაწმენდა, დასუფთავება და ნარჩენების თავსახურიანი ურნების დამატება;
- პანკისის ხეობის სოფლების (ბირკიანი, ჯოყოლო, დუისი, ომალო) სასმელი წყლის სათავე ნაგებობების შეკეთება, გაწმენდა და წყლის დაქლორვა;
- სოფელ ჯოყოლოს სკოლის და ახლადმოწყობილი ფეხბურთის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე გზის დაგება და მოზარდებისთვის გასართობ-დასასვენებელი სკვერის მოწყობა;
- ქალების და, მათ შორის, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების, მხარდამჭერი პროგრამის შემუშავება;
- ქალების (მათ შორის ახალგაზრდების) კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების დამატება;

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი

- ლაგოდეხში, მესამე საჯარო სკოლის წინ, ავტომობილების საპარკინგე სივრცის მოწყობა;

- ლაგოდეხში ახალგაზრდული სივრცის მოწყობა;
- მყარი ნარჩენების ურნების დამატება ქ. ლაგოდეხის მასშტაბით;
- სოფელ ცოდნისკარის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე დასასვენებელი სკვერის და ღია ფიტნეს სავარჯიშოს ჯიხურის მოწყობა;
- შრომის საჯარო სკოლასთან დაზიანებული გზის საფარის აღდგენა და მწოლიარე პოლიციელის შეცვლა;

- შრომის საჯარო სკოლის ტერიტორიაზე მრავალწლოვანი ხეების ჩამობელვა;
- სოფელ შრომაში, შიდა ქუჩებზე, გარე განათების ლამპიონების დამატება.

თელავის მუნიციპალიტეტი (სოფელი ყარაჯალა)

- ქალების და, მათ შორის, ყველაზე მოწყვლადი ჯგუფის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების მხარდამჭერი პროგრამის შემუშავება;
- ქალების (მათ შორის, ახალგაზრდების) კომპეტენციების განვითარების ხელშემწყობი პროგრამების დამატება;
- გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა;
- სასმელი და სარწყავი წყლის სისტემის რეაბილიტაცია;
- სპორტული და კულტურული წრეების შექმნა მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის (განსაკუთრებით გოგონების ჩართულობის ხელშეწყობა).

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი, გურია

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროცესში ადგილობრივ თვითმმართველობებს მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ. მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისა და კაცების ცხოვრების ხარისხი და კეთილდღეობა. კარგი მმართველობის პრინციპების შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა, მართვის პოლიტიკის შემუშავების პროცესში, უნდა გაითვალისწინოს გენდერულ თანასწორობისა და ქალების ეკონომიკური, პოლიტიკური გაძლიერების ასპექტები, რადგან კარგად სტრუქტურირებული ფისკალური პოლიტიკა ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტის პოლიტიკის და ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ იქნას რიგი **ნაბიჯები.**

შემუშავებული რეკომენდაციები:

- გააუმჯობესოს ქალთა, მათ შორის მეწარმე ქალების მისაწვდომობა ტრენინგებზე, მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, ხელი შეუწყოს განგრძობითი

- განათლების მიღებას და დასაქმებისთვის საჭირო უნარ–ჩვევების განვითარებას;
- **ხელი შეუწყოს ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების წარმომადგენელი ქალების წერა-კითხვის უნარ–ჩვევების კომპეტენციის გაძლიერებას, რათა მოხდეს საზოგადოებაში მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია (ნასაკირალის თემი). ქალთა პოლიტიკური გაძლიერება წარმოუდგენელია მათი არჩევნებში მონაწილეობის გარეშე და ამ საბაზისო სამოქალაქო პროცესიდან გამორიცხვა უთანასწორობის პირდაპირი მაჩვენებელია;**
- გაზარდოს ქალთა, მათ შორის შშმ პირთა მისაწვდომობა შესაბამის, ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანდაცვის სერვისსა და ინფორმაციაზე და მასთან დაკავშირებულ სერვისებზე;
- ხელი შეუწყოს კვლევების განხორციელებას და ქალთა ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. გააძლიეროს პრევენციული პროგრამები ქალთა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად;
- მიიღოს კომპლექსური ზომები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და მის აღმოსაფხვრელად;
- **მუნიციპალიტეტმა შეიმუშავოს სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი (SEAH);**
- უზრუნველყოს საჯარო სამსახურში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება;
- **გაამარტივოს ქალთა თანაბარი მისაწვდომობა რესურსებზე, დასაქმების ბაზარზე. მიიღოს ზომები ქალთა თანაბარი მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ძალაუფლების სტრუქტურებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე;**
- **ხელი შეუწყოს ქალებისა და კაცებისთვის სამუშაოსა და საოჯახო ვალდებულებების ჰარმონიზებას, გენდერულ როლებსა და თანასწორობის საფუძვლებზე საინფორმაციო კამპანიის წარმოების გზით, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაში;**
- **შეიქმნას კვოტირების მექანიზმი სოფლის საერთო კრებებზე დასწრებისას, სადაც დაცული იქნება გენდერული ბალანსი. ასევე, სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იქნას ქალების ინტერესები და საჭიროებები. სოფლის საერთო კრება დაინიშნოს ისეთ ოპტიმალურ დროს, როცა ქალებისთვისაც შესაძლებელი იქნება დასწრება;**
- ხელი შეუწყოს ადგილობრივ დონეზე ქალთა საჭიროებების მოკვლევის პრაქტიკას, რათა გენდერული მეინსტრიმინგის ინსტრუმენტები მოერგოს სპეციფიკურ ადგილობრივ სიტუაციასა და გამოწვევებს;

- **მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში მყოფმა ორგანოებმა, როგორიც არის „ქალთა ოთახი“ და „გენდერული საბჭო“ უზრუნველყონ სოფლად მცხოვრები ქალების მობილიზება, გააქტიურება და ჩართვა სათემო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.**

რაჭის სათემო ორგანიზაცია, რაჭა

2021-2022 წლებში რაჭის სათემო ორგანიზაციამ, წინასწარ გადამზადებული ადგილობრივი ტრენერების ჩართულობით, ჩაატარა ტრენინგები, რომლებით, ასევე, ითვალისწინებდა მონაწილეთა საჭიროებების კვლევას. სამ-ოთხ დღიან ტრენინგებს ორი წლის განმავლობაში დაესწრო ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 180-მდე ქალი, რომელთა ნახევარი სხვადასხვა სოფლის მკვიდრია, ხოლო დანარჩენი ქალაქ ამბროლაურში ცხოვრობს.

რეკომენდაციები:

- შეხვედრებისას მნიშვნელოვანი დრო დაეთმო მეწარმე ქალთა საჭიროებებს, მათი უმეტესობა აღნიშნავდა, რომ რაჭაში მცხოვრებ ქალებს არ აქვთ სხვადსხვა დარგში განათლების მიღების შესაძლებლობა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა უნდა გააუმჯობესოს ქალების, მათ შორის მეწარმე ქალების, მისაწვდომობა ტრენინგებზე, მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში, ხელი შეუწყოს განგრძობითი განათლების მიღებას და დასაქმებისთვის საჭირო უნარ–ჩვევების გაუმჯობესებას;
- შეხვედრების დროს, ქალების განვითარებისა და მათი შესაძლებლობების რეალიზაციისთვის, ერთ-ერთ მთავარ ბარიერად საბავშვო ბაღებში მინიმალური ასაკის 2 წლით განსაზღვრა დასახელდა;
- მაშინ, როცა დეკრეტული შვებულება მოიცავს 6 თვეს, ხოლო ამის შემდგომ ქალები იძულებულნი არიან უხელფასო შვებულებაში გავიდნენ, ისინი არათანაბარ კონკურენციაში ხვდებიან კაცებთან, რადგან სამსახურისგან დიდხნიანი მოწყვეტის შემდგომ, მათი პროდუქტიულობა იკლებს. ამიტომ, საჭიროა მუნიციპალიტეტმა ხელი შეუწყოს სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში ერთწლიანი ჯგუფის შექმნას, რათა ქალებს შეეძლოთ სამსახურში დროული დაბრუნება და კარიერული განვითარება;

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტს, სხვადასხვა კლინიკებთან თანამშრომლობით, აქვს პერიოდული კამპანიები, რა დროსაც, ადგილობრივ სამედიცინო პუნქტში ჩამოყავთ პროფესიონალი ექიმები. მსგავსი აქტივობები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თუმცა ეს მომსახურებები არ არის მორგებული შშმ ქალებზე და ასევე, ხშირ შემთხვევაში, ინფორმაცია არ აღწევს იმ ადამიანებთან, ვისაც ყველაზე მეტად სჭირდება კონსულტაციები და გამოკვლევები. აქედან გამომდინარე, საჭიროა მუნიციპალიტეტმა გაზარდოს ქალთა, მათ შორის, შშმ პირთა მისაწვდომობა ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისებსა და ინფორმაციაზე;
- რამდენიმე წელია მუნიციპალიტეტში ხორციელდება სოციალური პროგრამები, რომელიც ყოველგვარი კვლევის გარეშე იგეგმება და მისი კოპირება ხდება ყოველწლიურად. ეს ხელს უშლის პროგრამების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებას, რაც რეალურ პრობლემების ვერც გადაჭრას და ვერც შემცირებას უზრუნველყოფს: სახელმწიფო დაწესებულებამ, პროგრამების დაგეგმვამდე ხელი უნდა შეუწყოს კვლევების განხორციელებას და ინფორმაციის გავრცელებას. ასევე, გააძლიეროს პრევენციული ღონისძიებები ქალთა ჯანმრთელობის დასაცავად.
- მუნიციპალიტეტის უმეტეს სამსახურებში, მათ შორის ააიპ-ებსა და სსიპ-ებში, არ არის სექსუალური შევიწროებისგან დაცვის მექანიზმები, რაც აუცილებელია სექსუალური შევიწროების პრევენციისა და შემდგომი რეაგირებისთვის. ამიტომ, საჭიროა მუნიციპალიტეტმა შეიმუშავოს სექსუალური შევიწროების პრევენციის პოლიტიკის დოკუმენტი (SEAH).
- ძირითადად, მუნიციპალური პროგრამები ყოველ წელს იდენტურია და ეს პრაქტიკა უკვე 10 წელია არ იცვლება. მუნიციპალიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ დონეზე ქალთა საჭიროებების მოკვლევის პრაქტიკას, რათა გენდერული მეინსტრიმინგის ინსტრუმენტები მოერგოს სპეციფიკურ ადგილობრივ სიტუაციასა და გამოწვევებს;
- რაჭის სათემო ორგანიზაციამ ჩაატარა კონფიდენციალური მოკვლევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 7 ააიპ-ში, რომლებიც ხელისუფლების დაქვემდებარებაშია. აქ დასაქმებული ადამიანების 80% ქალია. გამოკითხვისას გამოვლინდა ტრანსპორტის პრობლემა, შიდა გადაადგილებისთვის მეორე ძირითადი საჭიროება კი ააიპ-ების ტექნიკური და ელემენტარული რესურსებით აღჭურვაა, რის გარეშეც ქალებს უჭირთ დაკისრებული სამუშაოს შესრულება , საკუთარი თავის განვითარება და კარიერული წინსვლა. ამისათვის საჭიროა რესურსის მოძიება კომპიუტერული ტექნიკის და გადამზადების კურსებისთვის;
- ამბროლაურის გენდერული საბჭო დაკომპლექტებულია საკრებულოს წევრებითა და სამსახურების ხელმძღვანელი პირებით. რაჭის სათემო ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ გენდერული საბჭოს ეფექტური მუშაობისთვის, სასურველია, საბჭოში, ასევე, ირიცხებოდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები,

- განსაკუთრებით იმ ორგანიზაციებიდან, რომლებიც გენდერული თანასწორობის მიმართულებით მუშაობენ.
- მოქალაქეების, განსაკუთრებით ქალების, მიმართვიანობა და სათემო პრობლემებზე რეაგირებაში მონაწილეობის ფაქტები, თითქმის არ ფიქსირდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტში, თუ არ ჩავთვლით სოფლის მხარდაჭერის პროგრამებს, სადაც დამსწრეთა უმეტესობა კაცები არიან. ამის შესაცვლელად საჭიროა მუნიციპალიტეტის ,,გენდერულმა საბჭომ: უზრუნველყოს სოფლად მცხოვრები ქალების მობილიზება, გააქტიურება და ჩართვა სათემო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.